



პროექტი ზრდა საქართველოში  
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA

# PRESS RELEASE

**გავრცელდეს დაუყოვნებლივ**

16 ნოემბერი, 2018

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:**

თამილა ჩანტლაძეს, BP საქართველო

+995 32 259 34 00/ chantlat@bp.com

ქეთი რეხვიაშვილს, USAID Zrda Activity

+995 32 222 74 95/ krakhvishvili@zrda.ge

## USAID/Zrda და BP მხარს უჭერს ადგილობრივი მოსახლეობის განვითარებას საქართველოს მასშტაბით

სოფელი სხვილისი, ახალციხე - 2018 წლის 16 ნოემბერს, 11 საათზე, მისიის უფროსის მოადგილე ელიზაბეთ რუდი, BP საქართველოს გენერალური მენეჯერი კრის შლიტერი, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორთან, ბესიკ ამირანაშვილთან ერთად, ახალციხის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელ ზემო სხვილისს ეწვივნენ და ადგილზე გაეცნენ თემების გაძლიერებაზე მიმართულ ინიციატივებს.

ამჟამად, USAID/Zrda და BP საქართველო ერთობლივად ახორციელებენ „ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივას“ 41 სოფელში, მათ შორის ზემო სხვილისში. ერთობლივი პროგრამა განხორციელდება, BP-სა და მისი პარტნიორების დაფინანსებული „ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის“ ფარგლებში, რომელიც ფოკუსირდება სოფლის მეურნეობის, ბიზნესისა და თემის განვითარებაზე.

ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, Zrda და BP მხარს დაუჭერენ ადგილზე მდგრად ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, თემების გაძლიერებაზე მიმართული ინიციატივების და დასაქმების შესაძლებლობების წახალისებას, ასევე წარმოებისა და შემოსავლების მიღების შესაძლებლობის ზრდას.

პროგრამა ხორციელდება 41 სამიზნე სოფელში, რომლის მოსახლეობაც 14, 000 მაცხოვრებელს შეადგენს. მიმდინარე პროექტს ახორციელებს Zrda-ს და BP საქართველოს პარტნიორი ორგანიზაცია სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლში, რეგიონული განვითარების ასოციაცია (RDA), რომელიც სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში, ახალციხის, ადიგენის და წალკის მუნიციპალიტეტებში, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა (BTC) და სამხრეთ კავკასიური მილსადენების (SCP) გასწვრივ მდებარე 41-დან 19 სოფელში მუშაობს. ხოლო მეორე პარტნიორი ორგანიზაცია, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“, შიდა ქართლის რეგიონში, კასპის, გორის, ქარელის და ხაშურის მუნიციპალიტეტებში, დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP), იგივე ბაქო-სუფსის მილსადენის გასწვრივ მდებარე 22 სოფელში მუშაობს.

ერთობლივი ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით, ტექნიკური დახმარების, ტრენინგებისა და მცირე გრანტების ინსტრუმენტების გამოყენებით, Zrda 300, 000-მდე აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს 41 სამიზნე სოფელში. BP და მისი პარტნიორები „ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის“ ფარგლებში 2 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებენ რომლის პირველი ფაზაც 2018-2021 წლებში, 218 თემში, მათ შორის BP-სა და USAID/Zrda-ს ერთობლივი პროექტის მონაწილე 41 თემშიც განხორციელდება.

**BP საქართველოს შესახებ:** BP ერთ-ერთი უდიდესი ენერჯო კომპანიაა მსოფლიოში და საქართველოში 1996 წლიდან მუშაობს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის (BTC) ისე, როგორც სამხრეთ კავკასიური მილსადენის (SCP) პროექტები ხელს უწყობს ქვეყანაში ენერჯის უსაფრთხოდ ტრანსპორტირება-მიწოდების პროცესს. ჩვენ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი უცხოელი ინვესტორი ვართ, რომელსაც 4 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია აქვს განხორციელებული ენერჯო-ინფრასტრუქტურის მოწყობაში, მათ შორის 100 მილიონი აშშ დოლარი პროექტების მდგრად განვითარებაზე მოდის. ჩვენს ენერჯო პარტნიორებთან, დონორებთან და ბიზნეს პარტნიორებთან ერთად მხარს უჭერთ ადგილობრივი თემების და ფართო საზოგადოების, ასევე ბიზნეს სტარტაპების, სოფლის მეურნეობის, განათლებისა და პარალელური სპორტის სახეობების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ენერჯო-ეფექტურობის



პროექტი ზრდა საქართველოში  
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA

მიმართულებით. 2003 წელს, BP-მ და მისმა ენერჯო პარტნიორმა ორგანიზაციებმა საფუძველი ჩაუყარეს „ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივას“ და 15 წელზე მეტი ხნის მანძილზე 27 მილიონი აშშ. დოლარის ინვესტიცია განახორციელეს ადგილობრივი თემების განვითარების კუთხით. [www.bpgeorgia.ge](http://www.bpgeorgia.ge)

**USAID-ის საქმიანობის შესახებ საქართველოში:** უკანასკნელი 26 წლის განმავლობაში ამერიკმა ხალხმა USAID-ის საშუალებით 1.5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი თანხის ინვესტიცია განახორციელა საქართველოში. პროექტები, რომელთა მიზანია დახმარება გაუწიოს საქართველოს თავისუფალი და განვითარებული დემოკრატიის მშენებლობაში, მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გაუმჯობესება. USAID-ი ეკონომიკური და ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს 100-ზე მეტ ქვეყანას. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.usaid.gov/georgia>

**USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი ზრდა** არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთი რეგიონის 81 თემში. ზემოაღნიშნულის მისაღწევად, პროექტი განახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება; სოფლის მეურნეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მენარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნესკავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციული საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული თემებს. პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება სამუშაო ადგილები, ოჯახებს გაეზრდებათ შემოსავლები და მნიშვნელოვნად გაძლიერდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.facebook.com/zrda.ge>; [www.zrda.ge](http://www.zrda.ge)